საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი N 23

ქ.თბილისი **24.10.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს - ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვიტარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ანა ლელაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

რამაზ ქურდაძე
ია ნაცვლიშვილი
მაია მარგველაშვილი
შორენა ჯაფარიძე

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ხათუნა ამაღლობელი
ვახტანგ ანთია
კონსტანტინე აბულაძე

შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელი სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

შორენა ხაჭაპურიძე
მარინა ჯღარკავა

შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ბადრი გეჩბაია
მანანა ჯაშიაშვილი
მზია ბაკურიძე

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ნატალია ბარათელი
ეკატერინე გზობავა

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 15:46 სთ-ზე. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანთლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა, განაცხადა შუამდგომლობის შესახებ - მეოთხე საკითხის, შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის დაგატანა პირველ საკითხად. შესაბამისად, საბჭომ დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით:

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	60

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა რამაზ ქურდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დასკვნა ჯამში დადებითი იყო. მსგავსი პროგრამები მნიშვნელოვანი და მისასალმებელი იყო, ასევე გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის" მეტად საჭირო პროგრამაა არა მარტო აღნიშნული კოლეჯისათვის, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღნიშნული პროგრამა კონკრეტულად აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი, რაც გამართლებულია მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიით. ჩვენი აზრით, სასურველია, რომ აღნიშნულმა კოლეჯმა ასევე გაითვალისწინოს საქართველოში არსებული სომხურენოვანი კონტინგენტი და მათთვისაც დაამუშაოს ასეთივე პროგრამა (ან ცალკე მოდულის სახით ჩართოს ამავე პროგრამაში), რადგან სომხურენოვანი სტუდენტები ამ პროგრამის გარეთ რჩებიან და მათი ქართულ სტუდენტურ სივრცეში ინტეგრაცია, ასევე პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო არ განარჩევს ეროვნების მიხედვით სტუდენტებს ქართული ენის სწავლების დროს, ამიტომაც სასურველია, სომხურენოვანთათვისაც გავითვალისწინოთ ასეთივე მიდგომა. ჩვენ განსხვავებას მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვგულისხმობთ, რადგან ქართული ენის მიმართება აზერბაიჯანულ ენასთან სხვაგვარია და ქართული ენის მიმართება სომხურ ენასთან - სხვაგვარი.

- პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამაში ჩართულ პედაგოგებთან გასაუბრებისას ადგილზევე იქნა გათვალისწინებული რამდენიმე რეკომენდაცია და შესაბამისად შევიდა ცვლილებები პროგრამაში: დაიხვეწა რამდენიმე საგნის დასახელება ნაცვლად „სამეტყველო ფუნქციებისა (ლაპარაკი, მოსმენა, წერა, კითხვა)" კურსს ეწოდა, „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი, მოსმენა, წერა, კითხვა)"; ასევე კურსს „საკომუნიკაციო ტექსტი" დაუზუსტდა სახელი და ეწოდა „საკომუნიკაციო ტექსტის ანალიზი"; გასწორდა ზოგიერთი სახელმძღვანელოს დასახელება სილაბუსებში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას თან ერთვის აღნიშნული კოლეჯის დირექტორის ბრძანება ამ ცვლილებებთან დაკავშირებით და ამავე ცვლილებების გათვალისწინებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაციაც (პროგრამა და სილაბუსები).

- სილაბუსებში შუალედური გამოცდა ერთხელ ტარდება და 30 ქულა აქვს დათმობილი. ექსპერტის აზრით, ისეთი საგნისათვის როგორიც ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკაა, აჯობებს თუ შეალედურ გამოცდას ორჯერ ჩავატარებთ და 15 - 15 ქულებს დავუთმობთ. ასევე, სასურველია, დაემატოს ერთი საგანიც, რომელიც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში „გადაცდომათა ანალიზის" (ერორ ანალიზის) სახელითაა ცნობილი. ამ შემთხვევაში გადაცდომად ჩაითვლება აზერბაიჯანული ენის გავლენით გამოწვეული სისტემური შეცდომები ამავე სტუდენტთა ქართულ მეტყველებაში. სომხურენოვან სტუდენტთათვის, პროგრამის ანალოგიური ვარიანტის შემუშავების დროსაც, უნდა გავითვალისწინოთ ასეთივე საგანი სომხურ ენასთან მიმართებით.
- სასურველია, დაჩქარდეს პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება და ამოქმედება. მართალიაამ პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტი, მაგრამ კოლეჯში ამჟამად სხვა პროგრამების სტუდენტები სწავლობენ და ეს სისტემა მათთვისაც საჭიროა.
- სასურველია კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (რომელიც დღეისათვის მხოლოდ 1071 ერთეულს მოიცავს) გაზრდა და მათში უშუალოდ ამ პროგრამისათვის საჭირო სახელმძღვანელოთა რაოდენობის გაზრდაც. შევნიშნავთ, რომ ამჟამად ეს სახელმძღვანელოები მხოლოდ თითო-თითო ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო, სტუდენტები ჯერ არ ჰყავდათ და აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ამოქმედდებოდა.

საბჭოს წევრი ნინო დავლაშერიძე დაინტერესდა პედაგოგებმა აზერბაიჯანული ენა თუ იცოდნენ, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში ჩართული პედაგოგები იყვნენ დიდი გამოცდილების მქონე, ქართული ფილოლოგიის აღიარებული პროფესორები. როდესაც პედაგოგი ასწავლის უცხოელს, გარკვეულ დონეზე უნდა ფლობდეს პირველად ენას (ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულს). ასეთ შემთხვევაში, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მათ იციან მიმართებები პირველად ენასთან.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, აღნიშნული პროფესიული პროგრამა ზოგადად უცხოელ პროფესიულ სტუდენტებზე იყო გათვლილი თუ მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანთათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტეს და აღნიშნული პროგრამა გათვლილი იყო მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი კონტინგენტისათვის, თუ მოთხოვნა გაჩნდებიდა სომხურენოვანი სტუდენტების მხრიდან დაწესებულება მათთვისაც შეიმუშავებდა ანალოგიურ პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, კიდევ რომელი მსგავსი პროგრამები ხორციელდებოდა კოლეჯში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯი იყო სამედიცინო პროფილის და მსგავსი პროგრამები არ ჰქონდა.

ექსპერტმა რამაზ ქურდაძემ გააკეთა განმარტება, რომ ქართულ ენაში მომზადების პროფესიული პროგრამა იყო იმ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის მომზადებელი, ვისაც შემდგომ კოლეჯში სხვა პროგრამაზე სურდა სწავლის გაგრძელება.

2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე- ია ნაცვლიშვილმა წარუდგინა საბჭოს შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და წაიკითხა რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან:

- სასურველია მენეჯერული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსი გადატანილ იქნას სავალდებულო დისციპლინების ბლოკში (მაგ. პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები);
- სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების არეალის გასაფართოებლად და პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფდეს მოდულარული პრინციპის დაცვით.
- სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ დროულად მოახდინოს „სტუდენტების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ამოქმედება“, რაც დაწესებულებას გაუადვილებს ადმინისტრირების პროცესს და კიდევ უფრო აამაღლებს სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვახტანგ ანთიამ განაცხადა, რომ ექსპერტების უნივერსიტეტში ვიზიტის პერიოდში გამოთქმულ იქნა მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი შენიშვნა მენეჯმენტის მოდულის ზოგიერთი საგნის არჩევითი საგნების ნუსხიდან სავალდებულოში გადმოტანასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა გარდა პროექტების მენჯმენტისა. სავალდებულო საგნებად, უნივერსიტეტს ჰქონდა მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯნმენტის საფუძვლები,რაც შეეხებოდა პროექტების მენეჯმენტის არჩევით საგნებად დატოვებას, უნივერსიტეტი ამზადებდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ზოგად ასპექტში და ექსპერტების რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს ექნებოდა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის მოდული კონცენტრაციით მენეჯმენტი, ამიტომ დაწესებულებამ გადაწყვიტა პროექტების მენეჯმენტი დაეტოვებინა არჩევითი საგნების ნუსხაში. ექსპერტების მიერ გამოთქმულ რეკომენდაციას, გაძლიერებულიყო მუშაობა

პოტენციურ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ოთხ ორგანიზაციასთან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა პროგრამის ამოქმედება, ვარაუდობდნენ 20–25 სტუდენტის მიღებას, დაწესებულება აპირებდა დამატებითი დამსაქმებლების მოძიებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ტიპის დამსაქმებლებზე იყო საუბარი, როგორ იყო ეს დასაქმება განსაზღვრული და რა იგულისხმებოდა, იყო თუ არა უკვე მოთხოვნა მათი მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ანთიამ უპასუხა, რომ ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა არსებობდა ტურიზმის მიმართულებით და დამსაქმებელს წარმოადგენდა სასტუმრო ამბასადორი. ხელშეკრულებები არსებობდა ასევე სხვა დამსაქმებლებთან, თუმცა ცალსახად დასაქმების პირობას არ იძლეოდნენ, მაგრამ უზრუნველყოფდნენ სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლას.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა ხათუნა ამაღლობელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამი რეალური დამსაქმებელი: ფრესკო, ვი თი ბი ბანკი და პროკრედიტ ბანკი. სწორედ მათი რეკომენდაციით პრაქტიკას 5 კრედიტის ნაცვლად მიენიჭა 10 კრედიტი.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებას პროექტის მენეჯმენტის სავალდებულო კურსად გადატანასთან დაკავშირებით, იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ორიენტაცია ჰქონდა დამსაქმებელზე და რაც აუცილებლად გამოადგებოდათ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვახტანგ ანთიამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი ამზადებდნენ ბაკალავრებს ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით. იმისათვის, რომ მომზადებულიყო ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული, მენეჯმენტის დარგიდან ისწავლებოდა მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი და ანტიკრიზისული მენეჯმენტი. პროექტების მართვა წარმოადგენდა განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც, მისი აზრით, საჭიროებდა უფრო ღრმა და კონკრეტულ დეტალიზაციას. თუმცა, ვინაიდან ეს პროგრამა მომავალში უნდა ამოქმედებულიყო აღნიშნული რეკომენდაცია აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას მსგავსი პროგრამები, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხათუნა ამაშუკელმა უპასუხა, რომ ამჟამად დაწესებულებას ჰქონდა ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას შენარჩუნდებოდა თუ არა ძველი პროგრამაც.

ხათუნა ამაღლობელმა განმარტა, რომ სტუდენტები დაასრულებდნენ ავტორიზებულ პროგრამას, მაგრამ 2015 წლიდან აპლიკანტები ჩაირიცხებოდნენ ახალ, აკრედიტებულ პროგრამაზე.

3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1120
კრედიტების რაოდენობა	240

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მაია მარგველაშვილმა და წაიკითხა რეკომენდაციები ექსპერტთა დასკვნიდან:

- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: „ტურიზმის სტატისტიკის" სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის სამი სახელმძღვანელოს: დ.კბილაძე, შ. მეტრეველი - სტატისტიკა გვ. 231-256; დ. კბილაძე, ნ.აბესაძე, შ.მეტრეველი - სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ. გვ. 191-210; შ.მეტრეველი - სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოს ტურიზმში. თბ. 2012 გვ. 7-15. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებში ტურიზმთან დაკავშირებული მასალა უმნიშვნელოდ არის გაშუქებული და არ იხილავს ტურიზმის სტატისტიკის საკვანძო საკითხებს, ორიენტირებულია მხოლოდ სატისტიკის ზოგად საკითხებზე. შესაბამისად საჭიროა ტურიზმის სტატისტიკა ისწავლებოდეს სათანადო შინაარსის ლიტერატურით.
- აგრეთვე, ზოგიერთ დისციპლინებში გვხვდება ცალკეული თემების გადაფარვა, კერძოდ: „ტურიზმის მარკეტინგის" სილაბუსში - კვირა 6 - ლექციის ძირითადი საკითხები: „მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია" და ა. შ. „ტურიზმის საფუძვლების" - სილაბუსში ფარავს კვირა-4 -ის ლექციის ძირითად საკითხებს „საერთაშორისო ორგანიზაციები". და ა.შ. სადაც მითითებულ ლიტერატურაში ორივე სილაბუსში საუბარია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაზე და მის ისტორიასა თუ ფუნქციებზე,... „ტურიზმის მარკეტინგის " სილაბუსის პირველი თემაა „ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები" და იმავდროულად „ტურიზმის ეკონომიკის" სილაბუსში ასევე პირველი სალექციო თემაა „ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები" და ა.შ.
- პროგრამის ფარგლებში გამოყენებული პროფილური სასწავლო სახელმძღვანელოები ძირითადად არის ქართველ ავტორთა ნაშრომები, შესაბამისად მიზანშეწონილია ტურიზმში (რადგან დარგი ახალია და ყოველწლიურად ხდება ასეთი

სახელმძღვანელოების განახლება და სრულყოფა დასავლეთის სასწავლო სივრცეში) მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული დასავლური, წარმატებულ სასწავლო ინსტიტუციების მიერ აპრობირებული სახელმძღვანელოები და მათი მეშვეობით წარიმართოს სწავლება. ამისათვის სასურველია ადგილზე იქნას შემუშავებული, როგორც მინიმუმ ქართულენოვანი ე.წ. რიდერები.

- სასურველია გათვალისწინებული იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2014 წლის 22 ივლისის ვიზიტის დროს შემუშავებული 7-ე, 8-ე და 10-ე რეკომენდაციები;
- სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ დროულად მოახდინოს „სტუდენტების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ამოქმედება", რაც დაწესებულებას გაუადვილებს ადმინისტრირების პროცესს და კიდევ უფრო აამაღლებს სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ქართული ლიტერატურა ტურიზმის სტატისტიკაზე. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ქართული სახლემძღვანელო არსებობდა, თუმცა ასევე შესაძლებელი იყო ე.წ „რიდერების" დამზადება და სტუდენტს ჰქონოდა საშუალება ბიბლიოთეკის მეშვეობით გაეკეთებინა შედარებები იმ ლიტერატურასთან რომელსაც მიუთითებდა ლექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, ხომ არ იყო მისი დასკვნა მძიმე. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ საბჭოს ჰქონდა შესაძლებლობა გადაეხედა სილაბუსებისათვის. თავმჯდომარემ განმარტა, რომ მას არ შეჰქონდა ეჭვი მის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში, მაგრამ როდესაც დაფიქსირებული იყო სახელმძღვანელოების პრობლემა და სილაბუსებში თემატიკის გადაფარვა, ეჭვქვეშ დგებოდა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო ახალი, სილაბუსში მითითებული იყო სამი ძირითადი სახელმძღვანელო მათ შორის ერთი შ. მეტრეველის ,,სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოს ტურიზმში". იმ სილაბუსებთან მიმართებით, რომელსაც ხაზი გაუსვა ექსპერტმა, გაკეთებულ იქნა ამონაწერი, რომელიც დაწესებულების წარმოამდგენელმა გადასცა საბჭოს ყველა წევრს, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ, რომ გადაფარვა საკითხების მიხედვით არ ყოფილა. უნივერსიტეტის წარმოამდგენელმა ასევე განაცხადა, რომ ვიზიტის შემდგომ არაფერი არ გასწორებულა და ამის დასადასტურებლად მიწოდებული იყო პროგრამის ელექტრონული ვერსიაც.

ექსპერტ მაია მარგველაშვილის განცხადებით, ცალკეული საკითხების ურთიერთგადაფარვის თემას აღნიშნავდა ექსპერტთა წინა ჯგუფიც, რაც ასახული იყო როგორც ძველ, ასევე ახალ დასკვნაშიც. ექსპერტის აზრით, საბჭოს წევრებს გაუჭირდებოდათ მხოლოდ ამ წარმოდგენილი დოკუმენტით გადაფარვის ფაქტის დადასტურება და შესწავლა. მაია მარგველაშვილის განცხადებით, ექსპერტების ორივე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ბიზნეს ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულების ექსპერტებიც დაადასტურა, რომ არსებობდა ცალკეული საკითხების

გადაფარვა. ამის გადამოწმება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეეძლოთ საბჭოს წევრებსაც თუმცა ამის ნათლად დასანახად საჭირო იყო დარგობრივი სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ გასაგებად მიიჩნია მხარეების არგუმენტები და განაცხადა, რომ საბჭო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჩაღრმავებოდა აღნიშნულ შენიშვნებს და ამიტომ უნდა დაყრდნობოდნენ ექსპერტების დასკვნას, აქედან გამომდინარე საბჭო იმსჯელებდა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა დაამატა, რომ თემატიკის გადაფარვის დანახვა ადვილად შეიძლებოდა სილაბუსების შედარების მეშვეობით, რისთვისაც არ იყო აუცილებელი დარგობრივი განათლების ქონა, ვინაიდან, როდესაც ორ სილაბუსში წერია ერთი და იგივე თემატიკა ეს ნიშნავს, რომ თემები ფარავდნენ ერთმანეთს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა ამაღლობელმა დააფიქსირა აზრი, რომ როდესაც ექსპერტი მაია მარგველაშვილი წერდა თავის შეფასებაში, რომ ტურიზმის მარკეტინგის სილაბუსის მე-6 კვირისა და ტურიზმის საფუძვლების 1-ლი-მე-4 კვირის სილაბუსების თემატიკა ფარავდა ერთმანეთს, არ შეესაბამებოდა რეალობას. ტურიზმის მარკეტინგის მე-6 კვირას კი არ ფარავდა, არამედ მე-7 კვირას, რომლის თემაც იყო ,,საერთაშორისო და ეროვნული ტურისტული ორგანიზაციები და მათი როლი მარკეტინგულ მართვაში" სადაც ძირითად საკითხებს წარმოადგენდა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციები, ტურისტულ სააგენტოთა ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია, საერთაშორისო ტურისტული ნავიგაცია და ა.შ. რაც შეეხებოდა ტურიზმის პირველ სილაბუსს მე-4 კვირის სალექციო თემა იყო მსოფლიო ეროვნული რეგიონული და სხვა ორგანიზაციები სადაც განხილული იყო სრულიად განსხვავებული საკითხები: საერთაშორისო ორგანიზაციები, განმავითარებელი ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, განათლება და საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ამრიგად ადვილი დასანახი იყო, რომ არსებობდა სრულიად განსხვავებული თემატიკა შინაარსობრივი დატვირთვით და მეთოდოლოგიით. პირველ და მეორე სილაბუსში წარმოდგენილი იყო საშუალება და მიზანი, ორივე ერთად წარმოადგენდა სრულიად განსხვავებულ კონცეფციას და სწორედ ეს მეთოდები იყო გამოყენებული მოცემულ სილაბუსებში.

საბჭოს წევრებმა მოითხოვეს განმარტება რას გულისხმობდა ექსპერტთა დასკვნის მე-4 რეკომენდაცია, გათვალისწინებული ყოფილიყო წინა ექსპერტთა ჯგუფის მე-7,8,9 რეკომენდაციები. ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა აღნიშნული დასკვნა, რომ გაცნობოდნენ ხსენებულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმოამდგენელმა ვატანგ ანთიამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ინტეგრირებული და აღიარებული იყო ტემპუსის ფარგლებში. პროგრამაში ჩართული იყვნენ საფრანგეთისა და პორტუგალიის პარტნიორი ინსტიტუციების წარმომადგენლები. ხათუნა ამაღლობელმა განმარტა, რომ არ გაითვალისწინეს მხოლოდ 7, 8 და 10 რეკომენდაციები. მე-10 რეკომნდაცია ეხებოდა ტურიზმის ბიზნესის სასწავლო კურსს, რაც, მისი აზრით, არასდროს ყოფილა პროგრამით გათვალისწინებული.

ექსპერტი მაია მარგველაშვილის განცხადებით, იგი შეფასებისას შეეცადა ყოფილიყო შედარებით რბილი, როგორც დაწესებულების, ასევე პროგრამის შემქმნელების მიმართ. მისი აზრით , ასეთი ხელმძღვანელობის პირობებში შესაძლებელი იყო პროგრამა განხორციელებულიყო წარმატებით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გააჩნდა ყველა შენიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაც ნათლად ჩანდა, რომ საკითხები სილაბუსებში ემთხვეოდა ერთმანეთს და დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია გაესწორებინათ აღნიშნული საკითხი და არ ელოდა მათი მხრიდან მსგავს თავადასხმას. ასევე დაამატა, რომ სასწავლო დისციპლინა „ტურიზმის ბიზნესი" ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ამოიღეს პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამიდან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მხოლოდ იცავდნენ თავიანთ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ორივე მხარის პოზიცია გასაგები იყო. საბჭო აქტიურად იმსჯელებდა აღნიშნულ საკითხზე და შემდგომ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას.

4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია :	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართულ/ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	020307
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია ნაცვლიშვილმა წარუდგინა საბჭოს შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

- ,,ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტის" დისციპლინის სილაბუსში საგნის მიზანი საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ სასურველია სილაბუსში წარმოდგენილი მიზანი მოვიდეს მეტ შესაბამისობაში კურსის ფარგლებში შესასწავლ თემატიკასთან;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა აგებულია სემესტრული პრინციპის დაცვით და საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტები ლოგიკური თანმიმდევრობითაა განაწილებული სემესტრების მიხედვით, სასურველია პროგრამაში შემავალი დისციპლინების შესწავლის თანმიმდევრობის ლოგიკურობის ხარისხის ასამაღლებლად მეტად იქნეს გათვალისწინებული სხვა მაპროფილებელი დისციპლინების (გარდა წინაპირობებით წარმოდგენილი დისციპლინებისა)

სპეციფიკაც და პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მეტი გამჭირვალეობისათვის პროგრამას ახლდეს წინაპირობების მატრიცა;

- სასურველია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამით გათვალისწინებული მაპროფილებელი დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც მეტ სტაბილურობას შეძენს პროგრამის განხორციელებას;
- სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების არეალის გასაფართოებლად და პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ დროულად მოახდინოს „სტუდენტების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ამოქმედება", რაც დაწესებულებას გაუადვილებს ადმინისტრირების პროცესს და კიდევ უფრო აამაღლებს სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ხომ არ გაუჩნდა ეჭვი ექსპერტთა ჯგუფს, რომ მოწვეული პროფესორები პროგრამაში ამ სამი პროგრამის გადაფარვის შესანიღბად იყვნენ ჩართულები. რაზეც ესპერტმა განმარტა, რომ ადგილზე შემოწმდა მოწვეული სპეციალისტების პირადი საქმეები, რომელიც შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, გაფორმებული იყო ხელშეკრულებები, თუმცა ძირითად წამყვან ბირთვს სამაგისტრო პროგრამისა, წარმოადგენდნენ მოწვეული სპეციალისტები და უკეთესი იქნებოდა პროგრამა გარანტირებული ყოფილიყო ძირითადი აკადემიური პერსონალით. უცხოელი პროფესორების მოწვევაც, ფინანსური ფაქტორის თვალსაზრისით, რისკის შემცველი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა ამაღლობელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმოადგენდა ახალ პროგრამას, რომელიც ხორციელდებოდა ჰოლანდიის ახალ უნივერსტეტთან თანამშრომლობით. მასთან უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. ძირითადი კურსების წასაკითხად ჰოლანდიიდან ჩამოვიდოდნენ ლექტორები. ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელს დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები თავად ესაუბრნენ სკაიპის მეშვეობით.

მოცემული პროგრამა იყო ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით, ამ ეტაპზე კვალიფიკაციას ანიჭებდა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი. მასში შედიოდა 4 ძირითადი დისციპლინა, რომელიც ისწავლებოდა უცხოელი ლექტორების მიერ. უნივერსიტეტი თავად დააფინანსებდა უცხოელი ლექტორების ვიზიტს გორგასლის სასწავლო უნივერსიტეტში რაც აღნიშნული იყო თვითშეფასებაშიც. უნივერსიტეტი იღებდა ამ ვალდებულებას რადგან მას სჭირდებოდა საერთაშორისო კონტაქტები, საკუთარი პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და ა.შ. ლექტორები ჩამოვიდოდნენ მთელი სემესტრით. რისკები და მოლოდინები ნებისმიერი პროგრამის განხორციელებისას არსებობდა. სხვა დანარჩენი კი პროგრამის ამუშავების შემდეგ გახდებოდა ნათელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის ურთიერთკავშირით, ბაკალავრიატის ყველა კურსდამთავრებული წავიდოდა ბიზნესის სამაგისტრო პროგრამაზე, თუ აპირებდნენ სხვა სპეციალობების შემოერთებას მეორე საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, მოცემულ სამაგისტრო პროგრამას შეავსებდნენ თავიანთი საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებით, მათთვის ეს პროგრამა მიმზიდველი იქნებოდა გარემოსთან ადაპტაციისა და ინოვაციების დანერგვის კუთხით. ამის საფუძველს იძლეოდა ჩაატარებული ზედაპირული კვლევა და არსებული დიდი მოლოდინი. ამ ეტაპზე მათ ჰყავდათ 7 პირველკურსელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრანტი, აქედან ორი იყო გორგასლის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. სწავლის საფასური შედაგენდა 3000 ლარს.

5. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბანკის ოპერატორი
განათლების საფეხური	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	020454
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გააცნო ვიზიტზე მყოფი ჯგუფის შემადგენლობა: ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე, თამარ ვალიშვილი და ცენტრის წარმომადგენელი ნინო გაგელიძე. ასევე წაიკითხა რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან:

- რეკომენდირებული იყო სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემის ორი კომპონენტი–„აქტიურობა“ და „დისკუსია–დებატების“ კომპონენტის გაერთიანებული ყოფილიყო და შეჯამებული საათებით შესულიყო ერთ კომპონენტში სახელწოდებით „აქტიურობა“.
- მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ უნივერსალური შეფასების სისტემაში მეტად ყოფილიყო ასახული ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა წარმოადგენდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მისი ყველა კომპონენტი იყო ძალიან მნიშვნელოვანი და იგი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გულდასმით იქნა შესწავლილი. აგრეთვე შეფასების მეთოდები. გაეცნენ იმ ორგანიზაციებს რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა პრაქტიკის ხელშეკრულებები, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა თი

ბი სი ბანკი. ექსპერტთა ჯგუფი ესტუმრა ამ ორგანიზაციებს და დარწმუნდა, რომ მართლაც ხორციელდებოდა მათ შორის არსებული შეთანხმება, ჰქონდათ სერიოზული და განახლებადი ურთიერთობები. იყო შესაძლებლობა სტუდენტების შემდგომი დასაქმებისა. მოწესრიგებული იყო მატერიალური და ადამიანური რესურსი.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტი, ქალბატონი შორენა ჯაფარიძე გახლდათ საკმაოდ მკაცრი ექსპერტი და მის მიერ ამგვარი შეფასება მეტყველებდა პროგრამის გამართულობაზე იყო და რომ პროგრამა აკმაყოფილებდა არსებულ კრიტერიუმებს.

6. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია- 090351
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გააცნო რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან:

- რეკომენდირებული იყო სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემის ორი კომპონენტი–„აქტიურობა“ და „დისკუსია–დებატების“ კომპონენტის გაერთიანებული ყოფილიყო და შეჯამებული საათებით შესულიყო ერთ კომპონენტში სახელწოდებით „აქტიურობა“.
- მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ უნივერსალური შეფასების სისტემაში მეტად ყოფილიყო ასახული ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

ექსპერტის განცხადებით, სამედიცინო პრაქტიკის ობიექტები შეამოწმა ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა, როგორც აღნიშნული პროფესიის წარმომადგენელმა და შემდეგ შთაბეჭდილებების შეჯამების საფუძველზე ჯგუფი შეთანხმდა, რომ დაწესებულებას შეეძლო პრაქტიკული კომპონენტის წარმატებით განხორციელება. თავად დაწესებულებასაც გააჩნდა ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იყო სილაბუსებში წარმოდგენილი აქტივობების ჩატარება, ,აგრეთვე პრაქტიკის გასავლელად გაფორმებული იყო ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში არსებობდა მოსაზრება, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს გაევლოთ ის ეტაპები, რომელიც მზა სახით, ხელზე გასაყიდ წამლებთან ჰქონოდათ შეხება. ამიტომ მოიძებნა აფთიაქი, რომელიც წამლებს აწარმოებს. ასევე დაწესებულება ახორციელებდა ორი ტიპის პრაქტიკას მოცემულ პროგრამასთან მიმართებით, ეს იყო წამლის წარმოებათა საქარხნო ტექნოლოგია და სააფთიაქო ტექნოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კონკრეტულად რა ტიპის საქმიანობას ეწეოდა ამ პროფესიის მქონე ადამიანი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებული იქნებოდა ფარმაცევტის თანაშემწე, რომელიც დახმარებას აღმოუჩენდა წამლის მოძიებაში და გასცემდა მესამე ჯგუფის პრეპარატებს. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში დაწესებულება აპირებდა 25 სტუდენტის მიღებას .

7. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი
განათლების საფეხური	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -041060
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	45

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და წაიკითხა რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან:

- სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემის ორი კომპონენტი ,,აქტიურობა" და ,,დისკუსია -დებატების" კომპონენტის გაერთიანება და შეჯამებული საათების გაერთიანება ერთ კომპონენტში სახელწოდებით ,,აქტიურობა" ;
- მიზანშეწონილი იქნებოდა უნივერსალური შეფასების სისტემას მეტად აესახა ცალკეული კურსების სპეციფიკა;
- სასურველი იქნებოდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლად ყოფილიყო პიროვნება რომელსაც ექნებოდა პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რას გულისხმობდა ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მოვალეობა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა- ვინაიდან რეგიონს გააჩნდა ფარმაცევტული ქარხანა, მართებულად მიიჩნიეს, რომ გამოეშვათ ფარმაცევტული პრეპარატების სპეციალისტი. აღნიშნულ სპეციალისტს დაევალებოდა საწარმოო პროცესებისა და დანადგარების გამართული მუშაობის კონტროლი. ისინი იქნებოდნენ ინჟინერ-ტექნოლოგები, ფარმაცევტის დამხმარეები და საწარმოო პროცესს გააკონტროლებდნენ. რეგიონში არსებული ქარხანა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებს თვალი ედევნებინათ, პრაქტიკა გაევლოთ და რაც მთავარია, დასაქმებულიყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ახალი აღჭურვილობის შემოსვლის შემთხვევაში კომპანია თვითონ აფინანსებდა და უწევდა გადამზადებას პროფესიულ სტუდენტს აპარატზე მუშაობის დროს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამსაქმებლები იღებდნენ პასუხისმგებლობას, რომ ასწავლიდნენ, ტრენინგებს ჩაუტარებდნენ, გაატარებდნენ პრაქტიკას და დაასაქმებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულ სპეციალისტებს დაწესებულება მოამზადებდა მხოლოდ ბათუმისთვის თუ სხვა ფარმაცევტულ კომპანიებსაც ექნებოდათ საშუალება დაინტერესებულიყვნენ აღნიშნული სპეციალისტებით თავისი წარმოებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელი იყო ხელშეკრულებების გაფორმება. მათ ჰქონდათ მოლაპარაკება ავერსთან და პროგრამის ამოქმედების სემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მემორანდუმის გაფორმება და თბილისში საწარმოო პრაქტიკის გავლა. ასევე აღინიშნა, რომ ეს იყო მესამე საფეხურის პროგრამა, პროფესიული სტანდარტით კი გათვალისწინებული იყო ასევე მეოთხე და მეხუთე საფეხურის განხორციელებაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ახალი პროგრამების შემუშავება , ერთი საფეხური იქნებოდა ერთი პროგრამა, შესაძლებელი გახდებოდა სრული კვალიფიკაციის პროფესიონალის მიღება. დაწესებულება გეგმავდა მომავალში მოდულურ სტანდარტზე გადასვლას, რაც უფრო მოქნილს გახდიდა პროგრამებს. მოდულური პროგრამები წარმოადგენდნენ მინი პროგრამებს და სტუდენტს ექნებოდა საშუალება გაეკეთებინა არჩევანი. აირჩევდა რომელიმე მოდულს და მიიღებდა კვალიფიკაციას რაც მისცემდა დასაქმების საშუალებას.

8. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -090552
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	150

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და წაიკითხა რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან:

- სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემის ორი კომპონენტი ,,აქტიურობა" და ,,დისკუსია დებატები" სასურველი იყო გაერთიანებული ყოფილიყო და შეჯამებული საათებით შესული ყოფილიყო ერთ კომპონენტში სახელწოდებით ,,აქტიურობა";
- მიზანშეწონილი იქნებოდა რომ უნივერსალური შეფასების სისტემაში მეტად ყოფილიყო ასახული ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკა და მათ შორის სპეციალური კურსების გავლის შედეგად შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სპეციფიკა.
- რეკომენდირებული იყო ასევე შესწორებულიყო სილაბუსებში დაშვებული უზუსტოებები, კერძოდ, „ინგლისური ენა 1" და „ინგლისური ენა 2" ქულების შეჯამებასთან დაკავშირებული უზუსტობა; სასწავლო კურსის სახელწოდებაში „საოფისე პროგრამები" დაშვებული უზუსტობა;სასწავლო კურსებში „სასწავლო პრაქტიკა 1" და „სასწავლო პრაქტიკა 2" წინაპირობები.

ექსპერტის განცხადებით მოცემული პროგრამა რთულად განსახორციელებლი იყო, ვინაიდან თეორიულ ნაწილში იყო ჩართული პრაქტიკული მეცადინეობები ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს ჭირდებოდა ძალიან კარგი რესურსი. პროგრამა შინაარსობრივად აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნას. დიდი აქცენტი იყო გაკეთებული მატერიალურ რესურსზე ვინაიდან მატერიალური რესურსის კონდიცია განაპირობებდა ამ პროგრამის განხორციელების წინაპირობას . დაწესებულებას ჰქონდა საგნების ჩამონათვალი რომელთა განხორციელება დაწესებულების ფარგლებში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან რომელშიც დაწვრილებით იყო გაწერილი თუ რა აქტივობებს განახორციელებდა სტუდენტი საავადმყოფოში. ექსპერტთა ჯგუფის წევრი თამარ ვალიშვილი ბრძანდებოდა აღნიშნულ საავადმყოფოში და ესაუბრა დირექტორს. ასევე დაწესებულებას ჰქონდა ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამა და ექსპერტებმა ნახეს იმ პროგრამის სტუდენტები როგორ გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნული პროგრამის ძლიერი მხარე გახლდათ ის, რომ ამ პროგრამის დამსაქმებლები და პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელები იყვნენ პროგრამის მოწვეული პედაგოგები, რაც უმუშავებდა სტუდენტებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

საბჭოს წევრის განცხადებით არსებობდა პროფესიული ექთნის დეფიციტი და აღნიშნული პროფესია საკმაოდ აქტუალური იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს თუ რამდენად იყო პრაქტიკის გარდა პაციენტის ფსიქოლოგიის და პაციენტთან ურთიერთობის საკითხები გათვალისწინებული სილაბუსში. რაზეც ექსპერტმა მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხები მოცემული იყო პროფესიულ სტანდარტში და სტუდენტები გაივლიდნენ ფსიქოლოგიის თემასაც.

9. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ - მოანგარიშე -020151
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა-	30

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: შორენა ჯაფარიძე, თამარ ვალიშვილი და ლიკა გიორგაძე და დასკვნაში დაფიქსირებული რეკომნდაციები :

- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არსებულიყო შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.
- რეკომენდირებული იყო გამოსწორებულიყო უზუსტობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებაში და ჩაწერილი ყოფილიყო ზუსტად ისეთი სახით როგორც ეს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით იყო განსაზღვრული, კერძოდ ,,ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე".

- მიზანშეწონილია შემდეგი თვითშეფასების ჩატარებისას დაწვრილებით აისახოს დაწესებულების რეალური მდგომარეობა. ვინაიდან ვიზიტის დროს ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყო ვიდრე დაფიქსირდა თვითშეფასებაში, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულებები პოლონეთთან, გერმანიასთან და ა. შ. რომლებიც არ იყო აღწერილი თვითშეფასებაში ამიტომ იყო დაბეჯითებითი რეკომდაცია რომ სასწავლებელში მიმდინარე პროცესები მაქსიმალურად ყოფილიყო აღწერილი .

საბჭოს წევრი დაინტერესდა შეეძლო თუ არა ასეთ სტუდენტს ემუშავა ბუღალტრად, რაზეც განმარტება გააკეთა დაწესებულების წარმოამდგენელმა ნატალია ბარათელმა, , რომ ახალი მიდგომები იყო დაწყებული პროფესიული პროგრამების მიმართ და შემოსული იყო გრანტები, კერძოდ მოდულური პროგრამების, მილენიუმის პროგრამების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელ ინგლისურ პროგრამებს ახორციელებდა დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგლისურენოვანი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამები. დაწესებულებას ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული ისრაელთან, პოლონეთთან სადაც ხშირად ხდებოდა გაცვლითი პროგრამები პროფესორ მასწავლებელთათვის. ასევე სასწავლებლის ფინანსური მოგების ყოველი ათი პროცენტი მოხმარდებოდა ახალ პროგრამას. შედგენილ იქნა ბიუჯეტი 25-25 სტუდენტზე, რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა წაგება პირველ ეტაპზე, თუმცა რენტაბელობის თვალსაზრისით მაინც შეიქმნა 25 სტუდენტზე.

დაწესებულებას ჰქონდა ოთხი პროგრამა. ყველა პროგრამის ხელმძღვანელი იყო პოტენციური დამსაქმებელი რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნული პროგრამების შედგენაში და შესაბამისად მორგებული იყო მათ მოთხოვნებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა თავისი დიდი შენობა ქსნის ქუჩაზე.

10. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერანტი)მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერანტი) -010356
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ოფისის მენეჯერის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით პროგრამა შეესაბამებოდა სტანდარტებს და იყო შინაარსობრივად გამართული. დაფიქსირდა შემდეგი სახის რეკომდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამებისათვის უნდა ყოფილიყო შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაწერილი უნდა ყოფილიყო სწავლის ხანგრძლივობა;
- თითშეფასების ჩატარებისას დაწვრილებით უნდა ყოფილიყო ასახული დაწესებულების რეალური მდგომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა მხოლოდ გოგონებს ელოდნენ ამ პროგრამაზე თუ ვაჟებსაც. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ნატალია ბარათელმა უპასუხა, რომ როგორც წესი კონტიგენტი მოიცავდა გოგონებს, ასაკიც მერყეობდა 17- 30 წლამდე. ამ ეტაპზე დაწესებულბას ყავდა 200-ზე მეტი პროფესიული სტუდენტი.

11. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-090552
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	150

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის განცხადებით, პროგრამა შემოწმებულ იქნა თამარ ვალიშვილის მიერ. რეკომენდაციები მდგომარეობდა შემდეგში :

- საგანმანათლებლო პროგრამებისათვის უნდა ყოფილიყო შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ;
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ინფექციის კონტროლის პრონციპები, რომლებიც რამოდენიმე სასწავლო კურსში იყო წარმოდგენილი (ავადმყოფის მოვლა, ჰიგიენა და სამედიცინო მიკრობიოლოგია) ცალკე სასწავლო კურსის სახით ყოფილიყო ჩამოყალიბებული; პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული იყო ინფექციების კონტროლის პრინციპების შესწავლა, ეს პრონციპები იყო წარმოდგენილი აბნეული სახით ამიტომ ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს გაკეთებულიყო ცალკე სასწავლო კურსი რადგან სასწავლო პროცესი ყოფილიყო უფრო მიზანმიმართული .
- თვითშეფასების ჩატარებისას დაწვრილებით ყოფილიყო ასახული დაწესებულების რეალური მდგომარეობა.

დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ნიუ ჰოსპიტალთან სადაც დეტალურად და კონკრეტულად იყო აღწერილი ყველა მიმართულება, რაც რეალურად საშუალებას იძლეოდა დაენახათ ექსპერტებს თუ როდის იქნებოდნენ სტუდენტები ნიუ ჰოსპიტალში და გაივლიდნენ პრაქტიკულ ნაწილს. ასევე მათ შეკვეთილი ჰქონდათ უკვე მულაჟები. ხელშეკრულება იძლეოდა საშუალებას დაენახათ, რომ პრაქტიკული ნაწილი იქნებოდა შესრულებული.

წარმომადგენლის განცხადებით ნიუ ჰოსპტალი წარმოადგენდა მთავარ პრაქტიკულ ბაზას სადაც დაწესებულების სტუდენტები გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე იმუშავებდნენ. სტუდენტების ერთმა ნაკადმა რომელთაც გავლილი ჰქონდა პრაქტიკა ნიუ ჰოსპიტალში უკვე დაამთავრა ერთი კურსი. დირექტორის თქმით ჰოსპიტალს სჭირდებოდა ახალი თანამშრომლები და დაინტერესების შემთხვევაში შეიძლებოდა დაეტოვებინათ შემდგომი თანამშრომლობისათვის რამოდენიმე სტუდენტი.

რაც შეეხებოდა ინფექციის კონტროლის პრინციპებს ავადმყოფის მოვლაში გათვალისწინებული იყო 32 კრედიტი და ყველა სასწავლო კომპონენტი გაწერილი იყო სილაბუსში. რეკომენდაციაც შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო, გამოეყოთ და ჩამოეყალიბებინათ ცალკე სათაურად.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით რეკომენდაცია პირდაპირ ხვდებოდა სამიზნეს, ვინაიდან საავადმყოფოები, რომლებიც ახალი დაგეგმარებით იყო აშენებული არ შეესაბამებოდა სანიტარულ ნორმებს თუნდაც ტუბერკულოზის კონტროლის თვალსაზრისით და არსებობდა ძალიან რთული პრობლემები. როგორც ძველი, ისე ახალი საავადმყოფოები ფუნქციურად არ აკმაყოფილებდნენ აღნიშნულ თნამედროვე მოთხოვნებს, ამიტომ ძალიან სერიოზულ პრობლემაზე მიუთითებდა ექსპერტი რაც აუცილებლად იყო გასათვალისწინებელი.

12. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბანკის ოპერატორი
განათლების საფეხური	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია-	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - 020454
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბანკის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ყოფილიყო წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ;
- თვითშეფასების ჩატარებისას დაწვრილებით ყოფილიყო ასახული დაწესებულების რეალური მდგომარეობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო 120 კრედიტიანი ვინაიდან ბანკის ოპერატორის პროგრამა იყო პროფესიული. პრაქტიკის ობიექტად არჩეულ იქნა საქართველოს ბანკების ასოციაცია რომელსაც გააჩნდა არაჩვეულებრივი ტრენინგ ცენტრი სადაც სტუდენტები გაივლიდნენ პრაქტიკას სიმულაციური პროგრამებით. პროგრამის სტანდარტში არ იყო მკაცრად მოთხოვნილი ფულადი ნიშნების ექსპერტიზა თუმცა მოხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან რომელმაც განუმარტა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ეს იყო საკმაოდ სერიოზული პროგრამა და ამის სწავლა იყო აუცილებელი.

18:12 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:52 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასლის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე-0; წინააღმდეგი-5);
- შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ბაკნის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასმიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ოფის-მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);

- შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);
- შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი-0);

დღის წერიგით გათალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 18:57 საათზე.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე